

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რა უნდა მოძრაობა „კმარა"-ს?

კმარა არის მოძრაობა, რომელიც უპირისპირდება ქვეყანაში გაბატონებულ კორუფციას, გაუნათლებლობას, განუკითხაობას, კლანურ მმართველობას და არჩევნების გაყალბებას; უპირისპირდება ყველა იმ პიროვნებას, ვინც ყოველივე ამას ასახიერებს.

## ამას ხომ პოლიტიკური პარტიებიც ითხოვენ?

მართალია, თუმცა ეს საზოგადოების გულისძახილი უფროა ვიდრე რომელიმე პოლიტიკური პარტიის. ჩვენ არ ვართ პოლიტიკური პარტია, არ ვმონაწილეობთ არჩევნებში, ჩვენ არ ვითხოვთ თანამდებობ-ბას. ჩვენ ვითხოვთ სამართლიანობას და ვიბრძვით მის მისაღწევად. ჩვენი კარი ღიაა ყველა ადამიანისთვის ვისთვისაც სიტყვა კმარა ატარებს კონკრეტულ მნიშვნელობას — უნდა შეიცვალოს არსებული სისტემა; უნდა გატარდეს რეფორმები; ასე ცხოვრება აღარ შეიძლება.

კმარა გამოხატავს უკმაყოფილებას იმ ხელისუფლებისადმი, რომელიც მრავალი წელი გვპირდებოდა სტაბილურობას კეთილდღეობასა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. მოძრაობა კმარა სწორედ ამ სიცრუეს უპირისპირდება. კმარა გამოხატავს მთლიან საზოგადოებაში არსებული განწყობას და არა კონკრეტული





პარტიის ან პირთა ჯგუფის ინტერესებს. საზოგადოებასთან ერთად, კმარა მიზნად ისახავს აიძულოს ხალხის მიერ არჩეული ნებისმიერი ხელისუფლება გახდეს პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული ყველა ჩვენთაგანის წინაშე და აუცილებლად შეასრულოს საარჩევნო დაპირებები.

## ვინ ვართ ჩვენ?

კმარას წევრები არიან ჩვეულებრივი მოქალაქეები, ძირითადად სტუდენტები, რომელთაც არ სურთ და არ მოსწონთ არსებულ გარემოში ცხოვრება და არ ეგუებიან ასეთ არსებობას! არ ეგუებიან თუნდაც იმას, რომ არ აქვთ ხარისხიანი განათლების მიღების საშუალება, არ აქვთ სამუშაოს შოვნის პერსპექტივა საკუთარ ქვეყანაში, არ აქვთ ჯიბის ფული და მრავალი სხვა და უნდათ ამ ყველაფრის შეცვლა. — ჩვენ გვაწუხებს ის, რაც დღეს ჩვენს ქვეყანაში ხდება, და ვგრძნობთ, რომ ეს არის თითოეული ჩვენგანის შეურაცხყოფა, არსებული სიტუაციის შეცვლა კი ყოველი ჩვენთაგანის ღირსების საქმეა. არსებული სიტუაცია ხომ ჩვენივე უმოქმედობის გამოძახილია. უსამართლოდ როცა გვჩაგრავენ მისაღებ გამოცდებზე და სასურველ ფაკულტეტზე მოწყობისთვის ფულის გადახდას გვთხოვენ და ჩვენ ამას, თუნდაც იძულებით, ვაკეთებთ, – მაშინ სანუწუნოც არაფერი გვაქვს! აი ასეთი მანკიერი პრაქტიკის წინააღმდეგ იბრძვის კმარა. ჩვენ არ გვჭირდება სიმწრით ნაშოვნი ფულის გადახდა უსწავლელობაში!

www.kmara.ge

მოძრაობა კმარა დაიწყეს ახალგაზრდებმა, რომლებიც ვერ ეგუებიან ქვეყანაში შექმნილ ვითარებას და საკუთარი, ისევე როგორც მთელი საზოგადოების პროტესტის ხმამაღლა გამოხატვა გადაწყვიტეს. კმარას აქტივისტები იყვნენ 2001 წლის ოქტომბერ-ნოემბრის ანტისახელისუფლებო გამოსვლების, პროგრამა “60 წუთის” მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატის კორუფციასა და დილეტანტიზმში მხილების ინიციატორები. მოძრაობა კმარა აპროტესტებდა თელასის რუსული კომპანიისთვის საიდუმლოდ მიყიდვას.

ჩვენ გამოვხატავთ პროტესტს, ჩვენ მზად ვართ გვერდზე დავუდგეთ ყველა უფლებაშელახულ ჩვენს მოქალაქეს. ჩვენ გამოვალთ ქუჩაში და გადაველობებით უკანონობას, ხელს შევუშლით მთავრობას, რომელიც მტერს მოყვრობს, საკუთარ ხალხს კი ატყუებს, გამოვალთ ქუჩაში და დავასუფთავებთ მას, თუკი ხელისუფლება ვერ ახერხებს სისუფთავეში ცხოვრებას, შევაგროვებთ საკვებს, წიგნსა და ტანსაცმელს უსახლკაროთათვის, ვინც ხელისუფლებამ უღირსი ცხოვრებისათვის გაწირა, ჩვენ მივალთ არჩევნებზე და ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის რომ ხელისუფლებამ ვერ გააყალბოს ჩვენი ხმა. ჩვენ გვჯერა რომ მოვერევით ამდენ ჭუჭყს.

თუ შენთვისაც კმარა,

**შემოუერთდი კმარას**

**და ერთად დავიცვათ**

**ჩვენი მომავალი!**






# კმარა!

## ერთად გადავდგათ

## ნაბიჯი თავისუფლებისკენ

მოძრაობა „კმარა” აქტიურად მონაწილეობდა და უერთდება ოცამდე ქართული არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ჩამოყალიბებულ პრინციპებს, რომლებიც ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ქვაკუთხედს წარმოადგენს. ეს ის ათი ნაბიჯია, რომელთა გადადგმა აუცილებელია სახელმწიფოს ღრმა კრიზისიდან გამოსაყვანად.



www.kmara.ge



www.kmara.ge

ათი

ნაბიჯი

# თავისუფლებისაკენ

**დღეს, როდესაც საქართველოს ხელისუფლებამ მკვეთრად გადაუხვია თავისუფლებისაკენ მიმავალ გზას და ავტორიტარული მეთოდებით ცდილობს ძალაუფლების შენარჩუნებას, ჩვენ, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები ვთავაზობთ თანამშრომლობას იმ პოლიტიკურ ძალებს, ვინც გაიზიარებს ქვემოთჩამოთვლილ ათ პრინციპს და ქართული სახელმწიფოსა და მისი მოქალაქეების ღირსებისა და თავისუფლების დასაცავად 2 ნოემბერს არჩეულ პარლამენტში იბრძოლებს მათი განხორციელებისათვის.**

1. სახელმწიფო მართვის საბჭოური სისტემის რეფორმა და მისი დაწჟებისათვის საბჭოთა უშიშროების სამსახურების თანამშრომელთა და კომუნისტური პარტიის ნომენკლატურის (ცკ-ის წევრი, განყოფილების გამგე, რაიკომისა და ქალაქკომის მდივანი, პარტკომი) წარმომადგენელთათვის მაღალი სახელმწიფო თანამდებობების დაკავების შეზღუდვა.

2. სახელმწიფო თანამდებობების პირთათვის დაუსაბუთებელი ქონებისა და შემოსავლების ჩამორთმევის კანონის მიღება.

3. კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის გარანტიების გაძლიერება; ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება; თავისუფალი მეწარმეობის შემზღუდავი კანონების გაუქმება; მეწარმეთა დაცვა სამართალდამცველი და მაკონტროლებელი ორგანოების უკანონო ზეწოლისაგან; ლიბერალური საგადასახადო კოდექსის მიღება; ფისკალური პოლიტიკისა და კანონმდებლობის სტაბილურობა.

4. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და თანმიმდევრული განხორციელება.

5. თბილისისა და ფოთის მერების არჩევითობა; ევროპული თვითმმართველობის ქარტიის რატიფიკაცია; ადგილობრივი თვითმმართველობისათვის ქონების გადაცემა და ფინანსური ავტონომიურობის მინიჭება; ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შესახებ კონსტიტუციური კანონის მიღება.

6. 2007 წლამდე საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანა; ევროკავშირსა და ნატო-ში გასაწევრიანებლად სახელმწიფო სტრატეგიული გეგმის შემუშავება და თანმიმდევრული განხორციელება; შეიარაღებულ ძალებში გაწვევის სისტემის გაუქმება და პროფესიული არმიის ჩამოყალიბება.

7. ნაფიცი მსაჯულების სასამართლოს შემოღება; სამართალდამცავი ორგანოების დეცენტრალიზაცია; ადგილობრივი პოლიციის უფროსებისა და პროკურორების არჩევითობა; ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ადამიანის უფლებების დაცვის, შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნება.

8. საპენსიო და სახელფასო დავალიანებების 2006 წლამდე სრული დაფარვა; სახელმწიფო სექტორში მინიმალური ხელფასის



სამომხმარებლო კალათასთან გათანაბრება; ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების პრიორიტეტული მიმართვა სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისაკენ; ქველმოქმედების ხელშემწყობი საგადასახადო კანონმდებლობის მიღება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ფინანსური და ადმინისტრაციული დამოუკიდებლობის მინიჭება, სამეურვეო საბჭოებისა და დირექტორების არჩევითობა; განათლების დაფინანსების სტიპენდიური სისტემის შემოღება; განათლების ხარჯების გაზრდა სულ მცირე ორჯერ; უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტების ერთიანი სახელმწიფო სტანდარტიზირებული გამოცდების საფუძველზე მიღება.

10. სიტყვისა და პრესის თავისუფლების შესახებ კანონის მიღება; სახელმწიფო ტელევიზიისა და რადიოს გარდაქმნა საზოგადოებრივ მაუწყებლობად.

33/484 PX 434/2.




მისამართი: ზანდუკელის ქუჩა 2 (მაკდონალდსის უკან)

ტელეფონი: +99532 988368

E-mail: kmara@kmara.ge

www.kmara.ge

www.kmara.ge www.kmara.ge www.kmara.ge www.kmara.ge www.kmara.ge